განაცხადი

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გაყიდვის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ქონების გამყიდველი ორგანოს დასახელება		შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	405406109
2	მისამართი, ტელეფონი	საქართველო , თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი აკურა, ტელეფონი 577080422; 551134422;
3	ელ.ფოსტა	ltdmosavali@yahoo.com
4	გასაყიდი ქონების ტიპი	მოძრავი ქონება
5	გასაყიდი ქონების დასახელება	თეთრი მშრალი ღვინო ,,ჩხავერი“
6	ინფორმაცია ქონების შესახებ	2024 წლის მოსავლის
7	ნივთის რაოდენობა/ზომის ერთეული	20000 ლიტრი
8	გასაყიდი ნივთის ადგილმდებარეობა	საქართველო, ქ. თელავი, სოფ. აკურა შპს „მოსავლის მართვის კომპანია“, ს.კ. 405406109)
9	გასაყიდი ქონების საწყისი ფასი	400000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
10	ბიჯის სიდიდე	1000 ლარი.
11	ბეს თანხის ოდენობა	40000 ლარი.
12	მყიდველი ვალდებულია:	1. გამოცხადდეს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით შპს „მოსავლის მართვის კომპანიაში“ აუქციონის დასრულებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში; 2. დაფაროს შესყიდული ღვინის ღირებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში; 3. გაიტანოს შესყიდული ღვინო მისი შენახვის ადგილიდან აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში; 4. თუ ელექტრონულ აუქციონში მონაწილე ვერ გაიმარჯვებს, მას უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა უკან უბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა ითვლება აუქციონის საბოლოო/შეთავაზებულ ფასში.
13	განთავსების ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი)	აუქციონის ხანგრძლივობა 7 კალენდარული დღე (დაწყების დრო და თარიღი: 15:00 საათი - 17.03.2025წ. დასრულების დრო და თარიღი: 15:00 საათი - 24.03.2025წ.)
14	ელექტრონულ აუქციონში მონაწილის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება თუ:	1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ელექტრონულ აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას.
15	დამატებითი პირობები:	1. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის ბოლო ვადას.
16	აუქციონის შედეგები უქმდება თუ:	1. აუქციონის გამარჯვებულმა განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა ნასყიდობის საფასური; 2. აუქციონში გამარჯვებულმა უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე; აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის /ბე-ს თანხა არ უბრუნდება აუქციონში გამარჯვებულს.